ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1/19

ქ. ბათუმი

25 მაისი 2016 წ.

ერთი მხრივ, *ა(ა)იპ – თანამედროვე ხელოვნების სივრცე* (შემდგომში – "შემსყიდველი") წარმოდგენილი მენეჯერის ანატოლი ძნელაძის სახით და მეორე მხრივ, *შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კონსალტინგი"* (შემდგომში _ "მიმწოდებელი") დირექტორის თამაზ ბუკიას სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცის სარგებლობაში არსებული, ზ. გამსახურდიას ქ. N1/5, მდებარე 163,7 კვ.მ. ფართის ნაწილი 36.4 კვ.მ. იჯარით გასაცემი ფართის საბაზრო ღირებულების შეფასება.

1.2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 79212000 – „აუდიტორული მომსახურება"

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

2.5. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მისაწოდებელი მომსახურების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული სამუშაოს მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს მიუწოდებელი სამუშაოს მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს *ა(ა)იპ "თანამედროვე ხელოვნების სივრცე"-ს მენეჯერი ანატოლი ძნელაძე.*

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მომსახურების შესაბამისობა და მიღება – ჩაბარების წესი

4.1. გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ პირობებს.
4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
4.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მომსახურების მიწოდების ვადა, ადგილი და ფორმა

მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 10 ივნისამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას.
ბ) მომსახურების გაწევიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.
6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) შემსყიდველის მოთხოვნისთანავე განახორციელოს მომსახურება.
5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:
ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა სამუშაო ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

7.3. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

7.6. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

8.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

8.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. სხვა პირობები

14.1. ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ”თანამედროვე ხელოვნების სივრცე”
ს/კ: 445 440 675
მის.: ზ.გამსახურდიას ქ. № 1/5.
ტ: 593 60 45 95
,,სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კ: TRESGE22
ანგ. № Ge24NB0330100200165022

ა(ა)იპ ”თანამედროვე ხელოვნების სივრცე”
მენეჯერი

/ა.ძნელაძე/

„მიმწოდებელი“

შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კონსალტინგი“
ს/კ 400 107 736
მის: ქ. თბილისი, გლდანი, მე-3 მ/რ, კორპ 13 ბ. 116
სს “თიბისი ბანკი”
ბ/კ: TBCBGE22
ა/ა: GE97 TB75 7613 6080 1000 01

შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კონსალტინგი“-ს დირექტორი

/თ.ბუკია/